

6x 22

GK 18958

1911  
1911



საქართველოს  
კულტურის  
ფონდი

ქართული ხუროთმოძღვრების  
ძეგლები

С/К 18958

საქართველოს  
საბავშვო  
საბიბლიოთეკო

ქართული  
ხუროთმოძღვრების  
ძეგლები



ПАМЯТНИКИ  
ГРУЗИНСКОГО  
ЗОДЧЕСТВА

ტერიტორიულად საქართველო ამიერკავკასიის შუა და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ქართული ერის ჩამოყალიბების პროცესი უძველეს წარსულს მიეკუთვნება. საქართველოს ისტორია არის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ერთიანი ქართველური ენის შატარებელმა ქართულმა ტომებმა ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციის რთული, ხანგრძლივი გზა განვლეს. ამ გზაზე ბევრი იყო აღმავრენაც და დაცემაც. მაგრამ მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება არ შეწყვეტილა უმძიმეს განსაცდელთა ფაზაც. ამას ადასტურებენ ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი არქიტექტურის ძეგლები, მონუმენტური ფერწერის, ქანდაკების, მოზაიკის, ქედურობის ნიმუშები, უძველესი ხელნაწერები. ფაშთა სიავემ ვერაფერი დააკლო ხალხში სათუთად შემონახულ თვითმყოფად ეროვნულ კულტურას, ხელოვნებასა და ტრადიციებს.

ქართველი ხალხის კულტურულ წარსულში განსაკუთრებული ადგილი ხუროთმოძღვრებას უკავია. მონუმენტურობა, სილამაზე და გარემომცველ ბუნებასთან ერთიანობა ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლებს ხალხის ისტორიული და კულტურული განვითარების უძვირფასესი შთამომავლობის მნიშვნელობას ანიჭებს.

მშენებლობისა და არქიტექტურის ისტორია ძვ. წ. ა. V — IV ათასწლეულებიდან იწყება. ჩვენამდე მოაღწიეს ნასოფლარებმა შულავერის მიდამოებში — შულავერის გორა და იმირის გორა, აგრეთვე ურბნისის მახლობლად — ქვაცხელის ნასოფლარმა. ძვ. წ. ა. III ათასწლეულს მიეკუთვნებიან ციკლოპური გამაგრებული დასახლებები, განსაკუთრებით თრიალეთში, აგრეთვე ყორღანული სამარხები, როგორცაა კობრას გორა სამგორის ველზე. ხელოვნურად გამაგრებულ ბორცვებზე განლაგებული დასახლებანი (მაგ. ნაცარგორა ცხინვალის მიდამოებში) ძვ. წ. ა. II — I ათასწლეულებს მიეკუთვნებიან.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V — IV საუკუნეების მიჯნაზე იქმნება პირობები ამიერკავკასიაში ორი უძველესი სამეფოს შექაქმნელად. ესენია აღმოსავლეთში — იბერიის, ანუ ქართლის, სამეფო და დასავლეთში — კოლხეთის, ანუ ლაზთა, მოგვიანებით ეგრისის სამეფო. იბერია და კოლხეთი მტკიცე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს ამყარებენ ბერძნებთან, სპარსეთსა და პონტოს სამეფოსთან, სხვა სახელმწიფოებსა და ხალხებთან.

სამეფოების ჩამოყალიბებასთან ერთად ხდება ქალაქური ცხოვრების ჩასახვაც. შენდება კეთილმოწყობილი გამაგრებული ქალაქები: იბერიაში — მცხეთა, რუსთავი, კასპი, გორი, კლდეში ნაკვეთი — უფლისციხე;

კოლხეთში — ფაზისი (ფოთი), პითუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სო-  
ხუმი), შორაპანი, ვანი. ცნობები ქალაქების გაჩენის შესახებ გვხვდება  
ბერძენ და რომაელ ავტორებთან (სტრაბონი, ვიტრუვიუსი, ქსენოფონტი,  
არისტოტელე, პეროდოტი). გათხრების შედეგად აღმოჩენილია საკულტო  
ნაგებობების, აბანოების, სასახლეებისა და საცხოვრებელი სახლების ნაშ-  
თები, რომლებიც ადასტურებენ არსებულ ცნობათა ქვეშარიტებას. ხსე-  
ნებული ქალაქები დაცული იყვნენ თხრილებით, კედლებითა და კოშკე-  
ბით. გაუვანილი იყო წყალსადენი და კანალიზაცია.

საქართველოში უძველეს დროიდან სამშენებლო მასალად ხეს, თიხა-  
სა და ქვას იყენებდნენ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვის გა-  
მოყენება, რომლის დამუშავების ხელოვნებამ საკმაოდ მაღალ დონეს  
მიღწია.

საინტერესოა ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული უფაქიზესი  
ნივთების ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენილია საქართველოს ძველი დე-  
დაქალაქის — მცხეთის აკროპოლის, ძალისის დარბაზული კომპლექსის,  
ვანის ნაგებობათა ნარჩენებისა და „დედოფლის მინდვრის“ ტაძრული  
კომპლექსის ნანგრევებში.

კულტურის განვითარების ახალი ჯგუფება დაკავშირებულია საქარ-  
თველოში ქრისტიანობის მიღებასთან IV საუკუნეში. ახალი რელიგიის  
მიღებამ განამტკიცა საქართველოს მდგომარეობა მსოფლიოს მოწინავე  
ხალხებს შორის, მრავალი საუკუნით დაკავშირა იგი ევროპულ კულ-  
ტურასთან. ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირურთიერთობამ განაპირობა  
ხუროთმოძღვრების ახალი ნაირსახეობის დამკვიდრება. დაიწყო ეკლესია-  
მონასტრების მშენებლობა.

ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება IV, V და VI საუკუ-  
ნეებში ხელს უწყობს ისეთი ფეოდალური ქალაქების გაჩენას, როგო-  
რიცაა თბილისი, უჭარმა, ქუთაისი და სხვ.

პირველი ეკლესია აიგო მცხეთაში, სვეტიცხოველის ადგილას, IV  
საუკუნის 30-იან წლებში. მატანიეთა მონაცემებით, მეფე მირიანისა  
და მის თანამოაზრეთა მიერ აშენდა ეკლესიები ერუშეთში, მანგლისში,  
ბოდბეში, წილკანში, ნეკრესში, რუსთავში, წუნდასა და თუხარისის ცი-  
ხეში. ჩვენს დრომდე მოღწეულთა შორის უძველესად ითვლება IV საუ-  
კუნის მეორე ნახევრის სამლოცველო ნეკრესის სამონასტრო კომპლექს-  
ში. ქართული ბაზილიკებიდან ყველაზე ადრეულნი V საუკუნის მიე-  
კუთვნებიან. პირველი კლასიკური ბაზილიკა — ბოლნისის სიონი აგებუ-  
ლია 478 — 493 წლებში. სხვა მნიშვნელოვანი ბაზილიკების რიცხვს  
მიეკუთვნებიან ანჩისხატი თბილისში, ურბნისი, ურიათუბანი, წილკა-  
ნი, ხაშში. ნინოწმინდას გუმბათიანი ეკლესია საგარეჯოს მიდამოებში  
მცხეთის ჭვრის ტიპის ძველთა ამოსავალ არქიტექტურულ კონცეფციას  
წარმოადგენს.

სკ-82-18938

არქიტექტურის განვითარების თვითმყოფადი გზის ძიება დასრულდა VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დამდეგით. ამ ეპოქამ მოგვცა მთელი რიგი გამოჩენილი ძეგლები: საყოველთაოდ ცნობილი ჭვარი მცხეთაში, არქიტექტურული ფორმით უკიდურესობამდე დახვეწილი წრომი, სამწვერისი, იშხანი და ბანა. ეს ძეგლები უკიდურესი მხატვრული სისრულით გამოირჩევიან და მიეკუთვნებიან მსოფლიო არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშებს. მკვეთრადაა გამოხატული მკაცრი, კლასიკური სტილის ნიშნები ნათელი ტექტონიკით, მშვიდით, ჰარმონიული პროპორციებითა და გაწონასწორებული, სიმეტრიული კომპოზიციებით; ფასადურ დეკორს მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქრისტიანობამ მძლავრი ბიძგი მისცა განმანათლებლობის განვითარებას. ახალი რელიგიის მიღებისთანავე საქართველოში გამოჩნდნენ რელიგიურ-საგანმანათლებლო ტიპის თვალსაჩინო მოღვაწენი. ზოგიერთი მათგანი საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობს. ისინი ქმნიან სპეციალურ ლიტერატურას ქართულ და ბერძნულ ენებზე, თარგმნიან, ამუშავებენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის საერთო საკითხებს. ჩვენთვის ცნობილია ქართული დამწერლობის V საუკუნის ნიმუშები, როგორცაა წარწერები ბოლნისის სიონსა და პეტრე იბერის მიერ პალესტინაში დაარსებულ ქართულ მონასტერში. V საუკუნითაა დათარიღებული აგრეთვე იაკობ ცურტაველის „მუშანიკის წამება“, რომელიც თვალსაჩინო ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებად არის მიჩნეული.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მტკიცებებს კულტურის მძლავრ განვითარებაზე, რაც ახალი რელიგიის მიღებით იყო განპირობებული.

პერიოდი VII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნემდე ქართულ არქიტექტურაში გარდამავალ პერიოდად არის ცნობილი. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე შეიმჩნევა ცალკეულ სამთავრო-სათავადოების მკვეთრი მომძლავრება, რომლებიც სულ მალე ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გვევლინებიან. ესენია ჰერეთი, კახეთი, ეგრის-აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი. VIII — IX საუკუნეებში, არაბთა ბატონობისა და ეროვნულ-პოლიტიკური თვითდამკვიდრებისათვის სასტიკი ბრძოლის პირობებში, ქართული ხელოვნება ახალ მხატვრულ ფორმათა ძიების რთულ პროცესს განიცდის. ხუროთმოძღვრების განვითარება ამ დროს ქვეყნის ცენტრიდან დაშორებულ სამთავროებსა და სათავადოებში ინაცვლებს.

მთელი სისრულით გამოვლინდა ხალხის გენია VIII — IX საუკუნეების არქიტექტურულ ქმნილებათა უდიდეს ნაწილში. ესენია ბრწყინვალე გუმბათიანი ტაძარი ვაჩნაძიანის უკელაწმინდა, საქართველოში უნიკალური ორგუმბათიანი ეკლესია გურჯაანში, თელავანის გუმბათიანი ტაძარი, სამშვილდეს დიდი კათედრალური ტაძარი, ქსნის ხეობის თავისებური ეკლესიები — არმაზი, წირქოლი, კაბენი, ვაჩნაძიანის, ვანთისა და ქერემის სასახლეები.

დიდი მნიშვნელობისაა ტაო-კლარჯეთში მდებარე ეკლესიები — ტაოსკარი, შატბერდი, ოპიზა, სვეტი და ვაშლობა. აქ ეყრებოდა საფუძველი ფილოსოფიური აზრის, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომ აყვავებას. აქ ფართოდ გაშლილი სამონასტრო მოძრაობის სათავეში იდგა გამოჩენილი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი.

პერიოდი X საუკუნის ბოლოდან XIII — XIV საუკუნეთა მიჯნამდე მიჩნეულია ქართული ხუროთმოძღვრების ხელშეკრულად გაფურჩქვნის ეპოქად. იგი ემთხვევა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის ბოლო ეტაპსა და ერთიანი სახელმწიფოს უდიდესი ძლიერების პერიოდს. მეფე დავით IV წარმატებით იბრძვის ქვეყნის გარეშე შტრებისაგან განთავისუფლებისათვის, ამთავრებს ცალკეული სათავადოების გაერთიანების პროცესსა და მათ ცენტრალურ ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას. ხალხში აღმავნებლად წოდებულმა დავითმა უმოკლეს დროში გადააქცია საქართველო მძლავრ ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიად, რომლის საზღვრები გაიჭიმა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სამხრეთით მდინარე არაქსამდე. იმდროინდელი საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის მეშვეობითა და თამარ მეფის ხელშეწყობით XIII საუკუნის დასაწყისში იქმნება ტრაპიზონის იმპერია, რომელიც საქართველოს გავლენის ქვეშ იმყოფება.

ამ პერიოდს თან ახლავს მშენებლობის ფართო მასშტაბები. შენდება გზები, ხიდები, სარწყავი არხები, სამეფო სასახლეები (მაგ. სასახლე გეგუთში, ქუთაისის მახლობლად), თავდაცვითი ნაგებობები. ძირითადი ცენტრები და მიმოქცევის გზები დაცულია ხერთვისის, თმოგვის, აწყურის, ოქროსციხის, ხორნაბუჯისა და სხვა ციხე-სიმაგრეებით. დიდი მნიშვნელობა ექცევა ქალაქებისა და ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობას. დაარსდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი — გელათის აკადემია. XII — XIII საუკუნეები — ეს ის დროა, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიან გამოჩენილი მოაზროვნეები — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, მწერლები შავთელი და ჩაბრუხაძე. ამ ეპოქამ მოუვლინა მსოფლიოს შოთა რუსთაველი.

X საუკუნის დამლევს ქართული ხუროთმოძღვრება უშუალოდ მიუახლოვდა მხატვრული დაოსტატების ახალ საფეხურს, რომელიც ბრწყინვალე გამოხატულებას პოულობს XI საუკუნის დასაწყისში (ოშკისა და იშხანის კათედრალური ტაძრები, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ბიჭვინთა, მოქვი და სხვ.).

საუბედუროდ, მონღოლთა ურდოების, სპარსელებისა და თურქების მრავალრიცხოვან შემოსევათა შედეგად მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო XV — XVI საუკუნეებში იშლება ცალკეულ სამეფოებად. დაქსაქსვა შემდგომშიც გრძელდება...



მაგრამ, მიუხედავად მძიმე ისტორიული ვითარებისა, ცალკეული ხანმოკლე შესვენებების პერიოდში გრძელდებოდა ჭვეყნის კულტურული ცხოვრება. განახლდა მშენებლობა. თბილისი კვლავ მსხვილ, კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. XVI საუკუნეში შენდებოდა ახალი ქალაქი გრემი, XVII საუკუნეში შდ. ქციაზე განხორციელდა „წითელი ხიდის“ სახელწოდებით ცნობილი ხიდის აღდგენა, შენდება ახალი შუამთის მონასტერი, ანანურის ანსამბლი არაგვის ხეობაში და სხვ.

ამ პერიოდში (XVI — XVII საუკუნეებში) ქართული ხუროთმოძღვრება განიცდის ირანული არქიტექტურის გავლენას, რომელიც ძირითადად დეკორში ვლინდება. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა მოახერხა ამ ახალი ზემოქმედების თავისებურად გადამუშავება და შეინარჩუნა საკუთარი ნაციონალური ტრადიციები, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

XV საუკუნის დამლევიდან ჩაისახა საქართველოსა და რუსეთის დაახლოების ტენდენციები. 1788 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო მეგობრული ტრაქტატი. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად შეუწყობ ხელი მშვიდობის დამკვიდრებას, თურქეთსა და ირანთან სისხლისმღვრელი ომების შეწყვეტას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართულ არქიტექტურაში შეიმჩნევა ტრადიციულ ნაციონალურ ფორმებთან ორგანულად შერწყმული კლასიციზმის ელემენტები.

საქართველოს ტერიტორიაზე შემონახულია უამრავი ისტორიული ძეგლი. მათ იცავს სახელმწიფო. ახალ-ახალი ფაქტების ძიებამ და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ დაგროვილმა ცოდნამ შესაძლებლობა მოგვცა მეცნიერულ საფუძველზე დაგვეყენებინა ძეგლთა დაცვის საქმე. ამის აუცილებლობა ექვგარეშეა, რადგან კულტურის ძეგლები ხალხის შემოქმედებითი აზრის, მისი დიადი ისტორიული წარსულის ცოცხალ მოწმეებად გვევლინებიან.

## ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები

1. აბაათა. აფხაზეთის ასსრ. სამცხლესიანი ბაზილიკა.  
ადრეშუასაუკუნეები (A1)
2. აბანო. გამაგრებული საცხოვრებელი ანსამბლი. შუა საუკუნეები (F2)
3. აბასთუმანი (ისტორიული ოძრხე) ძვ. წ. საუკუნეები (D4)
4. აბისი. გამაგრებული სარეზიდენციო. გვიანშუასაუკუნეები (E3)
5. აბული. ციკლოპური გამაგრებული კომპლექსი. ძვ. წ. საუკუნეები (E4)
6. ადიში. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (D2)
7. ავრანდო. ციკლოპური გამაგრებული საცხოვრებელი.  
ძვ. წ. III — II ათასწლეულები (E4)
8. აიაშმა. დარბაზული ეკლესია. VI — VII სს. (E4)
9. აკაურთა. სამნავიანი ბაზილიკა. VI ს. (F4)
10. აკვანება. დარბაზული ეკლესია. VI ს. (F4)
11. აკურა. სამნავიანი ბაზილიკა. IX ს. (G3)
12. აღავერდი. გუმბათიანი ტაძარი. XI ს.  
სხვა ნაგებობები X — XVIII სს. (G3)
13. აღბიერდი. დარბაზული ეკლესია.  
განვითარებული შუა საუკუნეები (F2)
14. ამამლო. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (F4)
15. ამბარა. აფხაზეთის ასსრ. სამცხლესიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (A1)
16. ამიტყლი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (H2)
17. ანანური. სარეზიდენციო ანსამბლი. XVI — XVIII სს. (F3)
18. ანჩა. დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (C5)
19. არდოთი. კოშკური გამაგრებული დასახლება. შუა საუკუნეები (G2)
20. არეში (მთის ძირი). სამნავიანი ბაზილიკა. ადრეშუასაუკუნეები (H3)
21. ართვინი. ნაქალაქარი. ადრეშუასაუკუნეები (C5)
22. არტანუჯი. ნაქალაქარი. ადრეშუასაუკუნეები (C5)
23. აჟარა. აფხაზეთის ასსრ. ციხე. შუა საუკუნეები (C1)
24. ასკანა. ციხე. შუა საუკუნეები (C3)
25. ასპინძა. ციხე. შუა საუკუნეები (D4)
26. ატენი. გუმბათიანი ტაძარი. VII ს. მცირე გუმბათიანი ეკლესია.  
VIII — IX სს. ციხე. X — XI სს. (E3)



27. „აფხაზეთის კედლის“ (აფხაზეთის ასსრ) გამაგრებული სისტემა კელა-სურიდან ანაკლიამდე. ადრეშუასაუკუნეები (B,C2)
28. აჩანდარა. აფხაზეთის ასსრ. დოღმენები.  
ძვ. წ. III — II ათასწლეულები (A1)
29. აცანა. მონასტერი ოქონა. შუა საუკუნეები (C3)
30. აძიუმბუა. აფხაზეთის ასსრ. დარბაზული ეკლესია. XIII ს. (B2)
31. აწრის ხევი. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (F3)
32. აქორი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (F5)
33. აჩკვა. აქარის ასსრ. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C4)
34. აწყური. გუმბათიანი ტაძარი. X — XIII სს.  
ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D4)
35. აჭი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C4)
36. ახალგორი (ღენინგორი). ანსამბლი. გვიანი შუა საუკუნეების სარეზიდენციო (F3)
37. ახალდაბა. ციხე. შუა საუკუნეები (E3)
38. ახალსოფელი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (G3)
39. ახალი ათონი. აფხაზეთის ასსრ. ნაქალაქარი. ადრეშუასაუკუნეები.  
გუმბათიანი ეკლესია. IX — X სს. (B1)
40. ახალი ზარზმა (ახასთუმანი). გუმბათიანი ეკლესია.  
1892 — 1902 წწ. (D4)
41. ახალქალაქი. ნაქალაქარი. XI — XVIII სს. (E4)
42. ახალციხე. ძველი ქალაქის ანსამბლი. შუა საუკუნეები (D4)
43. ახალციხე. სამნავიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (F2)
44. ამცეტა. სამნავიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (G3)
45. ახტალა. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია. XIII სს. (F5)
46. ახუწა. აფხაზეთის ასსრ. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (B2)
47. ახშანი. ანსამბლი გორისგვარი. ბაზილიკა. VI ს. (G3)
48. ბათუმი. აქარის ასსრ. თაძარის ციხე. ძვ. წ. ბოლო საუკუნეები (B4)
49. ბანა. გუმბათიანი ტაძარი. VII ს. (C5)
50. ბარაღეთი. დარბაზული ეკლესია. XIII ს. (E4)
51. ბეღია. აფხაზეთის ასსრ. გუმბათიანი ეკლესია. XIII ს.  
სხვა ნაგებობანი. შუა საუკუნეები (C2)
52. ბეთანია. გუმბათიანი ეკლესია. XII — XIII სს.  
მცირე დარბაზული ეკლესია. XIII ს. (F4)
53. ბეღოთი. დარბაზული ეკლესია. X ს. (F3)
54. ბერთა. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია.  
ადრეშუასაუკუნეები (C4)
55. ბერთუბანი (გარეჯა). გამოქვაბული სამონასტრო კომპლექსი.  
განვითარებული შუა საუკუნეები (G4)
56. ბერის საუდარი. სამეკლესიანი ბაზილიკა. X ს. (E3)
57. ბესლეთი. აფხაზეთის ასსრ. ხიდი. XI — XII სს. (B1)
58. ბეშთაშენი. ციკლოპური გამაგრებული საცხოვრებელი. ძვ. წ. III — II  
ათასწლეულები. ეკლესია თაქ-ქილისა. VII ს. (F4)
59. ბეჩო. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (D1)

60. ბზიფი. აფხაზეთის ასსრ. ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია.  
IX — X სს. (A1)
61. ბიეთი. სამონასტრო ანსამბლი.  
დარბაზული ეკლესია. VIII — IX სს. (F3)
62. ბირთვისი. ციხე-ქალაქი. შუა საუკუნეები (F4)
63. ბიჭვინტა. აფხაზეთის ასსრ. ნაქალაქარი. გვიანანტიკური და ადრეშუა-  
საუკუნეები. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (A1)
64. ბოდბე. ნინოს ეკლესია. გადაკეთებული. ადრეშუასაუკუნეები (H4)
65. ბოდორნა. გუმბათიანი ეკლესია. შუა საუკუნეები (F3)
66. ბოლნისი. სამნავიანი ეკლესია. 479 — 498 წწ.  
სამეკლესიოანი ბაზილიკა. VI ს. (F4)
67. ბორჯომი. გოგიას ციხე და პეტრეს ციხე. შუა საუკუნეები (E3)
68. ბოქორმა. ანსამბლი. X — XVIII სს.  
ციხე-დარბაზი და გუმბათიანი ეკლესია. X ს. (G3)
69. ბრეძა. დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (F3)
70. ბუგეული. დარბაზული ეკლესია. XIV — XV სს. (D2)
71. ბუგრეში. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (D2)
72. ბუმბუას ხიდი. ნანგრევები. ძვ. წ. I საუკუნე (D3)
73. გაგრა. აფხაზეთის ასსრ. სამეკლესიანი ბაზილიკა. VI ს. (A1)
74. გადიდი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
75. გავაჯი. გუმბათიანი ეკლესია. VI ს. (H3)
76. განთიადი. აფხაზეთის ასსრ. სამნავიანი ბაზილიკა. VI — VII სს. (A1)
77. განძანი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E4)
78. გარბანი. დარბაზული ეკლესია. IX — XI სს. (F2)
79. გეგუთი. ციხე-დარბაზი ტახტი მეფეთა. VIII, X, XII, XIII სს. (D3)
80. გელათი. სამონასტრო ანსამბლი. XII — XVIII სს. (D3)
81. გენცვიში. აფხაზეთის ასსრ. ციხე. შუა საუკუნეები (C1)
82. გერგეტი. გუმბათიანი ეკლესია. XIV ს. (F2)
83. გლიართა. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (H3)
84. გოგიუბა. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (D5)
85. გომარეთი. დიდი და პატარა დარბაზული ეკლესიები.  
XI — XVIII სს. (F4)
86. გონიო. აქარის ასსრ (აბხარისი. ციხე-ქალაქი). ახალი წელთაღრიცხვის  
პირველი საუკუნეები (B4)
87. გორი. ციხე. შუა საუკუნეები. ანტიკური დროის ნარჩენებით (F3)
88. გოშიახ-ყალა. კოშკების კომპლექსი. შუა საუკუნეები (C1)
89. გონარი. ციკლოპური ნაგებობა. ძვ. წ. III — II ათასწლეულები.  
დარბაზული ეკლესია. XI ს. (F4)
90. გრემი. ნაქალაქარი. გვიანშუასაუკუნეები (H3)
91. გუდანი. მთის სოფელი (G2)
92. გუდარები. ნაქალაქარი. სამონასტრო ანსამბლი. XIII ს. (F4)
93. გურჯაანი. ორგუმბათიანი ეკლესია ყველაწმინდა. VIII ს. (H4)
94. დაბა. დარბაზული ეკლესია. 1338 წ. (E4)
95. დადაშენი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C5)

96. დავით გარეჯა (გარეჯა). გამოქვამული სამონასტრო ანსამბლი.  
ადრეშუასაუკუნეები (H4)
97. დათუნა. დარბაზული ეკლესია. X ს. (H3)
98. დამლა. დარბაზული ეკლესია. ადრეშუასაუკუნეები (E4)
99. დანდალო. აქარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
100. დარბაზი. მეფის სადგომი. XII — XIII სს. (F4)
101. დართლო. კოშკურ ნაგებობათა ანსამბლი. შუა საუკუნეები (G1)
102. დარიალი. სახემღწიფო მნიშვნელობის საფორთიფიკაციო ნაგებობათა  
ნაშთი. ადრეშუასაუკუნეები (F2)
103. დედოფლის მინდორი. საკულტო ანსამბლი.  
ძვ. წ. II და I საუკუნეები (E3)
104. დიდი გომარეთი (იხ. გომარეთი) (F4)
105. დიდი დმანისი (იხ. დმანისი) (E4)
106. დიდი თონეთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (F4)
107. დიდი ოფეთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C3)
108. დიკლო. კოშკურ ნაგებობათა ანსამბლი. შუა საუკუნეები (G3)
109. დიხაშხო. ციხე. შუა საუკუნეები (D3)
110. დმანისი. ნაქალაქარი. ადრე და განვითარებული შუა საუკუნეები (E4)
111. დოდო (გარეჯა). გამოქვამული სამონასტრო კომპლექსი.  
განვითარებული შუასაუკუნეები (G4)
112. დოლისყანა. გუმბათიანი ტაძარი. X ს. (C5)
113. დრანდა. აფხაზეთის ასსრ. გუმბათიანი ტაძარი. VIII ს. (B2)
114. დუშეთი. ერისთავის სასახლე. 1751 წ. (F3)
115. ელისო. კოშკი. გვიანშუასაუკუნეები (J4)
116. ერედვი. სამეკლესიანი ბაზილიკა. 906 წ. (E3)
117. ერთაწმინდა. გუმბათიანი ტაძარი. XIII — XIV სს. (F4)
118. ერკეთი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (C3)
119. ერუშეთი. ციხე-ქალაქი. ადრეშუასაუკუნეები (D5)
120. ექქეი. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (B5)
121. ეშერი. აფხაზეთის ასსრ. დოღმენები.  
ძვ. წ. III — II ათასწლეულები (B2)
122. ეძანი. დარბაზული ეკლესია. VI ს. (E4)
123. ეხვევი. დარბაზული ეკლესია. XI ს. (E3)
124. ვალე. გუმბათიანი ეკლესია. X ს. გადაყვებულია XIV ს. (D4)
125. ვანათი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. ციხე. შუა საუკუნეები (E3)
126. ვანთა. სასახლე. VIII — IX სს. (G3)
127. ვანი. ნაქალაქარი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი.  
დარბაზული ეკლესია XII — XIII სს. (C3)
128. ვარციხე (როდოპოლისი). ნაქალაქარი. ძველი წ. ა. II — I სს. და ახალი  
წელთაღრიცხვის დასაწყისი (D3)
129. ვარძია. გამოქვამული კომპლექსი. XII ს. (D4)
130. ვარძია. გუმბათიანი ეკლესია. XIV ს. განახლებულია XIX ს. (D3)
131. ვაშლოვანი. საცხოვრებელი კოშკი. 1811 წ. (F4)
132. ვაშნარი. სამნავიანი ბაზილიკა. VI ს. (C3)

133. ვაჩნაძიანი. გუმბათიანი ტაძარი. IX ს. სამცხლესიანი ბაზილიკა. ადრეშუასაუკუნეები (G4)
134. ვახანი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (E3)
135. ვერნევი. აპარის ასსრ. დარბაზული ეკლესია. XI ს. (C4)
136. ვეჭინი. ციხე-ანსამბლი. IX — X სს. და გვიანი შუასაუკუნეები (H4)
137. ზარზემა. სამონასტრო ანსამბლი. XIV ს. (C4)
138. ზანავი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D4)
139. ზეგანი. ანსამბლი. სამცხლესიანი ბაზილიკა. VII ს. ეკლესია „მარინე“. V ს. (H4)
140. ზედა აგვი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D2)
141. ზედა ვარძია. ორნავიანი ეკლესია. X — XI სს. (D4)
142. ზედაზენი. ანსამბლი. ეკლესია. VII, VIII, IX სს. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (F3)
143. ზედა საქარა. გუმბათიანი ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
144. ზედა წევა. დარბაზული ეკლესია. XI ს. გადაკეთებულია XIX ს. (D3)
145. ზედა ჩეგემი. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (D1)
146. ზემო თელეთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (F4)
147. ზემო კრიხი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (D2)
148. ზემო ნიქოზი. ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია. V ს. გადაკეთებულია XIV ს. მცირე გუმბათიანი ეკლესია. IX — X სს. სასახლე. IX — X სს. (E3)
149. ზემო ყარაბულახი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E4)
150. ზოვრეთი (მშორეთი, ორთუბანი). სარეზიდენციო კომპლექსი. გვიანშუასაუკუნეები (E3)
151. ზოტი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D3)
152. ზუგდიდი. სასახლე. XVIII — XIX სს. გუმბათიანი ეკლესია. XV — XVI სს. (C2)
153. ზღუდერი. დარბაზული ეკლესია. VII ს. (E3)
154. თარგამისი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (G2)
155. თბილისი. ძველი ქალაქის უბნები: თბილისი, ისანი, კალა და გარეუბანი. ციტადელი ნარიყალა და ქალაქის ზღუდის კედლების ფრაგმენტები. ადრე და გვიანშუასაუკუნეები. XIX საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლები. ეკლესიები: სიონი — გუმბათიანი V — XX სს. სამრეკლო. 1912 წ.; ანჩისხატი — სამნავიანი ბაზილიკა VI ს., გადაკეთებულია XVII ს., სამრეკლო 1675 წ.; ბეთლემი (ფეთხიანი) — გუმბათიანი ეკლესია, გადაკეთებულია გვიანშუასაუკუნეებში; ლურჯი მონასტერი. XII ს. გუმბათი და ეკლესია გადაკეთებულია XVII — XIX სს.; მეტეხი — გუმბათიანი ეკლესია 1278 — 1289 წწ. დარიას სასახლე: გალავნის კედლები — შუა საუკუნეები. სასახლე და ეკლესია XVIII ს.; ჭვარის მამა — გუმბათიანი ეკლესია XVI ს., სხვა გვიანშუასაუკუნეების ეკლესიები (F4)
156. თეთრი ციხე. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D5)

157. თელავი. ძველი გალავანი. VIII — IX სს. ეკლესია ღვთაება VI — VII სს. კომპლექსი ბატონის ციხე XVII — XVIII სს. თელავური საცხოვრებელი სახლები XIX ს. (G3)
158. თელავი. ჭვარპატიოსანი. გუმბათიანი ეკლესია. VIII — IX სს. (F3)
159. თირი. დარბაზული ეკლესია. XIII — XIV სს. (E3)
160. თიღვა. გუმბათიანი ეკლესია. 1152 წ. (E3)
161. თმოგვი. ნაქალაქარი. ადრე და განვითარებული შუა საუკუნეები (D4)
162. თლი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E2)
163. თრიალეთის ახალქალაქი. გუმბათიანი ეკლესია. X — XI სს. (E4)
164. თუხარისი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C5)
165. თხილვალდი. აჭარის ასსრ. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (C4)
166. იდლეთი. გუმბათიანი ეკლესია. VI ს. (F3)
167. იენაში. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (D2)
168. ინდურთა. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (G3)
169. იკვი. გუმბათიანი ეკლესია. XI ს. (F4)
170. იკორთა. გუმბათიანი ეკლესია. 1172 წ. ციხე-დარბაზი. გვიანშუასაუკუნეები (E3)
171. ილორი. აფხაზეთის ასსრ. დარბაზული ეკლესია. XI ს. (B2)
172. ისი. გუმბათიანი ეკლესია. VIII — IX სს. (C5)
173. იუალთო. სამონასტრო ანსამბლი. VI, IX, X, XVIII სს. (G3)
174. იშხანი. გუმბათიანი ტაძარი. VII ს. გადაკეთებულია IX და XI სს. (C5)
175. კაბენი. გუმბათიანი ეკლესია. IX ს. გადაკეთებულია XII — XVIII სს. (F3)
176. კავთა. ციხე და ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (F4)
177. კაზრეთი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (F4)
178. კალმახი. სამონასტრო ანსამბლი. განვითარებული შუა საუკუნეები (C5)
179. კასრის კარი. სახელმწიფო მნიშვნელობის საფორტიფიკაციო ნაგებობის ნარჩენები. ადრეშუასაუკუნეები (E2)
180. კატეხი. კავკასიის დიდი კედლის ფრაგმენტი. V — VI სს. (J4)
181. კაცხი. კომპლექსი სვეტი V — VI სს. ეკლესიები. გუმბათიანი ტაძარი XI ს. (D3)
182. კახი. გუმბათიანი ეკლესია. გვიანშუასაუკუნეები (J4)
183. კუმულთა. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (E3)
184. კეხვი. ციხე-დარბაზი. X — XI სს. გადაკეთებული გვიანშუასაუკუნეებში (E3)
185. კვაისაჭვარი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E2)
186. კვარა ციხე. ციხე-დარბაზი. X — XI სს. შეკეთებული გვიანშუასაუკუნეებში (E3)
187. კვეტერა. ციხე-დარბაზი. IX — X სს. გუმბათიანი ტაძარი. X ს. (G3)
188. კვირიკე (ლაგურკა). დარბაზული ეკლესია. XII ს. (D1)
189. კიანეთი. დარბაზული ეკლესია. X ს. (F4)
190. კინეოსი. გუმბათიანი ეკლესია. IX ს. (C5)

191. კლდისუბანი. დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (D2)
192. კლიკის ჭვარი. დარბაზული ეკლესია. VIII — IX სს. (F4)
193. კობლაური. აპარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
194. კოლა. ციხე. ადრეშუასაუკუნეები. კოლას ოთხთა ეკლესია. X ს. (D5)
195. კოკლეთი. აპარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
196. კორტი (კვირიკე წმინდა). სამნავიანი ბაზილიკა. IX — X სს. (D3)
197. კორცხელი. გუმბათიანი ეკლესია. X ს. გადაკეთებული გვიანშუასაუკუნეებში (C2)
198. კოშკის ღელე. ნახოვლარი ქვისდარბაზებით. ძვ. წ. I ათასწლეული (D4)
199. კოჭორი. ციხე (ქოროლდი). ადრეშუასაუკუნეები (F4)
200. კუში. სამნავიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (J4)
201. კუმურდო. გუმბათიანი ეკლესია. 964 წ. (E4)
202. კუსირეთი. დარბაზული ეკლესია. VIII — IX სს. (E3)
203. კუშჩი. დარბაზული ეკლესია. ადრეშუასაუკუნეები (E4)
204. ლავრა (გარეჯა). გამოქვაბული სამონასტრო კომპლექსი. განვითარებული შუა საუკუნეები (H4)
205. ლაილაში. ციხე. შუა საუკუნეები (D2)
206. ლალხორი. კოშკების ანსამბლი. შუა საუკუნეები (D2)
207. ლამაზი საყდარი (ლიპარიტის უბანი). სამონასტრო კომპლექსი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (E4)
208. ლარგვისი. სამონასტრო ანსამბლი. XIV ს. და გვიანშუასაუკუნეები (F3)
209. ლატა. აფხაზეთის ასსრ. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (B1)
210. ლეიტი. გუმბათიანი ეკლესია. VIII ს. (J4)
211. ლელიანი. სამეკლესიანი ბაზილიკა. X — IX სს. (H4)
212. ლიკანი. მონასტერი. სამეკლესიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (F3)
213. ლიხაური. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები. სამრეკლო. 1422 წ. (C3)
214. ლიხნე (ლუხუნი). აფხაზეთის ასსრ. გუმბათიანი ეკლესია. X — XI სს. სასახლე. შუა საუკუნეები (A1)
215. ლომისა. დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (F3)
216. მადლი. დარბაზული ეკლესია (ნურქიელიხა). განვითარებული შუა საუკუნეები (H4)
217. მათხოჯი. დარბაზული ეკლესია. XI ს. გადაკეთებული XIX ს. (C3)
218. მიაკოვსკი (ბაღდადი). ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
219. მანავი. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (G4)
220. მანგლისი. გუმბათიანი ეკლესია. VI ს. გადაკეთებული 1020 წ. (F4)
221. მარტვილი. გუმბათიანი ეკლესია. VIII ს. სვეტი. X — XI სს. მცირე გუმბათიანი ეკლესია. X ს. (C3)
222. მარტყოფი. მონასტერი სვეტი. VI ს. შუა საუკუნეების სხვა ნაგებობანი (G4)
223. მატანი. ცხრაქარა. სამონასტრო ანსამბლი. V — VI სს. და შუასაუკუნეები (G3)
224. მალაღანთი. ანსამბლი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (F4)
225. მაცხვარიში. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (D2)

- 226. მელო. ციხე. შუა საუკუნეები (B5)
- 227. მესტია. გამაგრებული საცხოვრებელი კომპლექსი. შუა საუკუნეები (D2)
- 228. მესხიქელი. აპარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
- 229. მეტეხი (კასპის). გუმბათიანი ეკლესია. XIII ს. (F3)
- 230. მთისკალთა (მრავალძალი). დარბაზული ეკლესია. X — XI სს.  
გადაკეთებული XIX ს. (E2)
- 231. მთის ძირი (იხ. არეში). სამნავიანი ბაზილიკა. ადრეშუასაუკუნეები (H3)
- 232. მონასტერი. სამონასტრო ანსამბლი.  
განვითარებული შუა საუკუნეები (J4)
- 233. მოქვი. აფხაზეთის ასსრ. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (B2)
- 234. მოწამეთა. სამონასტრო ანსამბლი. შუა საუკუნეები (D3)
- 235. მრავალწყარო (გარეჯა). სამონასტრო ანსამბლი. განვითარებული შუა  
საუკუნეები (G4)
- 236. მურჯანეთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (E4)
- 237. მუცო. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (G2)
- 238. მუხრანი. სარეზიდენციო კომპლექსი. გვიანშუასაუკუნეები (F3)
- 239. მუხრანი (გარეჯა). გამოქვაბული სამონასტრო ანსამბლი.  
განვითარებული შუა საუკუნეები (G4)
- 240. მუხურა. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
- 241. მუხური. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (C2)
- 242. მუხლაჯილილისი. გუმბათიანი ეკლესია. ადრეშუასაუკუნეები (B5)
- 243. მცხეთა. ძველი ქალაქის უბნები. 1. ბაგინეთი (არმაზი), ქალაქის კედლე-  
ბი, აბანო, არმაზის სამაროვანი. ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. IV ს. 2. მცხეთა.  
აღიზის ზღუდის კედელი და არაგვის კარი. ახალი წელთაღრიცხვის დასა-  
წყისი. ბებრის ციხე — ადრეშუასაუკუნეები. სვეტიცხოველი. ანსამბლი:  
გუმბათიანი ტაძარი IV — XVIII სს. სასახლის ნაშთი VIII, IX XI სს.  
ბქე XI ს. სამთავრო — გუმბათიანი ეკლესია IX — XI სს. შეკეთებული  
გვიანშუასაუკუნეებში. მცირე გუმბათიანი ეკლესია ნინო, აგებული მი-  
რიანის მიერ IV ს. სამრეკლო XIV — XV სს. ბუხრიანი ნაგებობის ნაშ-  
თი — „მირიანის ბუხარი“ IX — X სს. საცხოვრებელი კოშკი. XVIII ს.  
ეკლესია ანტიოქია. გადაკეთებული V — VI სს. მცხეთის ჭვრის ტაძა-  
რი. VI — VII სს. (F3)
- 244. მწვანე ეკლესია (ჩითახევი). დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (D3)
- 245. მჭადიჭვარი. გუმბათიანი ეკლესია. 1888 წ. ციხე. 1748 წ. (F3)
- 246. ნადარბაზევი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E2)
- 247. ნადარბაზევი. სასახლე. XII — XIII ს. (F2)
- 248. ნათლისმცემელი (გარეჯა). გამოქვაბული მონასტერი.  
შუა საუკუნეები (G4)
- 249. ნაიფარი. ანსამბლი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (D2)
- 250. ნაყურალეში. დარბაზული ეკლესია.  
განვითარებული შუა საუკუნეები (D2)
- 251. ნარაზენი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C3)
- 252. ნარი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (E2)
- 253. ნოქალაქევი (არქეოპოლისი). ძველი წელთაღრიცხვა და ადრეშუასაუ-  
კუნეები (C3)

254. ნერესი. ანსამბლი. V, VII, VIII, IX და გვიანშუასაუკუნეები (G3)
255. ნესგუნე. დარბაზული ცელესია. X — XI სს. (D2)
256. ნეძვი. სამცხლესიანი ბაზილიკა. IX ს. (E3)
257. ნიაბი. დარბაზული ცელესია. X ს. (F3)
258. ნიგოეთი (ჭიქეთი). სამონასტრო ანსამბლი. გვიანშუასაუკუნეები (C3)
259. ნიკორწმინდა. გუმბათიანი ცელესია. XI ს. (D3)
260. ნინოწმინდა. გუმბათიანი ცელესია. VI ს. სამრეკლო. XVI ს.  
სასახლე. XVIII ს. (C4)
261. ნიქოზი (იხ. ზემო ნიქოზი)
262. ნუშალი. ეკვდერი (სამარხი). მოხატული XII — XIII სს. (E2)
263. ნუნისი. სამნავიანი ბაზილიკა. VI — VII სს. (E3)
264. ობჩა. დარბაზული ცელესია. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
265. ოზაანი. გუმბათიანი ცელესია. IX ს. (H4)
266. ოთა. მონასტერი შორეთი. დარბაზული ცელესია.  
განვითარებული შუა საუკუნეები (E4)
267. ოცდემი. ციხე. შუა საუკუნეები. სამრეკლო. XV — XVI სს. (B5)
268. ოთხარა. აფხაზეთის ასსრ. დოღმენები.  
ძვ. წ. III — II ათასწლეულები (A1)
269. ოთხთა ცელესია. სამნავიანი ბაზილიკა. X ს. (B5)
270. ონი. ციხე. შუა საუკუნეები (E2)
271. ოპიზა. მონასტერი. გუმბათიანი ცელესია. IX — X სს. (C4)
272. ორბეთი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (F4)
273. ორბელი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები.  
გვიანშუასაუკუნეების დანაშატებით (D2)
274. ოროშმანი (ქვემო). დარბაზული ცელესია. განვითარებული შუა საუკუნეები (F4)
275. ორჯა. დარბაზული ცელესია. შუა საუკუნეები (E4)
276. ოტიას ციხე (ობჩა). შუა საუკუნეები (D3)
277. ოფრეთი. ციხე-დარბაზი. ადრეშუასაუკუნეები (F4)
278. ოქროს ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D4)
279. ოში. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ტაძარი. X ს. (B5)
280. პარხალი. სამნავიანი ბაზილიკა. X ს. (B5)
281. პატარა ონი. დარბაზული ცელესია. XI ს. (D2)
282. პირველი შაისი. აჭარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
283. პსხუ. აფხაზეთის ასსრ. დოღმენები. ძვ. წ. III — II ათასწლეულები (A1)
284. უალეთი. სამნავიანი ბაზილიკა. IX ს. (F3)
285. რკონი. სამონასტრო ანსამბლი. VII — XIII სს. (E4)
286. რუკა. სახელმწიფო მნიშვნელობის ფორტიფიკაციის ნაგებობა.  
ადრეშუასაუკუნეები (E2)
287. რუისი. გუმბათიანი ცელესია. VII, VIII, IX სს.  
გადაკეთებულია XIV ს. (E3)
288. რუსთავი (ბოსტან-ქალაქი). ციხე-ქალაქი. შუა საუკუნეები (G4)
289. რუხი. ციხე. შუა საუკუნეები (C2)
290. საბერეო (გარეჯა). გამოქვაბული მონასტერი. ადრეშუასაუკუნეები (H4)
291. საგარეჯო. წმ. პეტრესა და წმ. პავლეს დარბაზული ცელესია.  
XVIII ს. (G4)



292. საგურამო. ქასური წმ. გიორგი სამეცლესიანი ბაზილიკა. VII ს. (F3)
293. სავანე. დარბაზული ეკლესია. XI ს. (E3)
294. სამთავისი. გუმბათიანი ეკლესია. XI ს. (F3)
295. სამსარი (პატარა). გამოქვაბული მონასტერი. VIII — IX სს. (F4)
296. სამშვილდე. ნაქალაქარი. გუმბათიანი ტაძარი. 759 — 777 წწ. (F4)
297. სამწევრისი. გუმბათიანი ეკლესია. VII ს. (E3)
298. ხანთა. ციკლოპური გამაგრებული სახლი. ძვ. წ. საუკუნეები.  
დარბაზული ეკლესია. XI — XII სს. (E4)
299. ხანიორე. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (G3)
300. სარკინეთი. დარბაზული ეკლესია. VIII — IX სს. (E4)
301. საფარა. სამონასტრო ანსამბლი. დარბაზული ეკლესია. X ს. გუმბათიანი  
ეკლესია. XIII ს. (D4)
302. საყავრე. დარბაზული ეკლესია. 1475 წ. (F4)
303. საჩხერე. ციხე შოღინახე, ადრე და გვიანშუასაუკუნეები (E3)
304. სენტი. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (C1)
305. სეფიეთი. სამნავიანი ბაზილიკა. VI ს. (C3)
306. სვეტი. ეკლესია და სვეტი. IX — X სს. (C5)
307. სვიფი. დარბაზული ეკლესია და კოშკური კომპლექსი.  
შუა საუკუნეები (C2)
308. სიათა. კოშკი. ადრეშუასაუკუნეები (F2)
309. სიონი. სამნავიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (F2)
310. სიღნაღი. გაღავანი XVII — XVIII სს.  
საცხოვრებელი სახლები XIX ს. (H4)
311. სკანდე. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D3)
312. სლესის ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D3)
313. სნო. ციხე. შუა საუკუნეები (F2)
314. სოლომონყალა. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C5)
315. სორი. დარბაზული ეკლესია. XIV — XV სს. (D2)
316. სოხთა. დარბაზული ეკლესია. X ს. (E3)
317. სოხთოროთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (B5)
318. სოხუმი (დიოსკურია, სებასტოპოლი). ძვ. წ. საუკუნეები.  
ჭაგრატის ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (B2)
319. სპეთი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E3)
320. სულორი. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
321. სურამი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (E3)
322. სუხბეჩი. გუმბათიანი ეკლესია. V — VI სს. (C5)
323. სუჭუნა. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (C3)
324. სხალთა. აჭარის ახსრ. დარბაზული ეკლესია. XIII ს. (C4)
325. სხვილოს ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (F3)
326. ტაბაკინი. ორნავიანი ბაზილიკა. VI, VII სს. გადაკეთებული XVI ს. (D3)
327. ტაოსკარი. გუმბათიანი ეკლესია. VIII — IX სს. (C5)
328. ტაძრისი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (D4)
329. ტბეთი. გუმბათიანი ეკლესია. X — XI სს. (C4)
330. ტიმოთესუბანი. გუმბათიანი ეკლესია. XIII ს. (E4)




- 331. ტოლები. თამარის ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (C3)
- 332. ტუში. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D3)
- 333. ტყემლოვანი. დარბაზული ეკლესია. XII — XIII სს. (E4)
- 334. ტყვირი. გუმბათიანი ეკლესია. XIV — XV სს. (C3)
- 335. ტყობაერდი. დარბაზული ეკლესია. VIII, IX, XI სს. (G2)
- 336. უბისა. სამონასტრო ანსამბლი. დარბაზული ეკლესია. IX ს. სვეტი. 1141 წ. (D3)
- 337. უდაბნო (გარეჯა). გამოქვაბული მონასტერი. განვითარებული შუა საუკუნეები (G4)
- 338. უკანუბანი. გამაგრებული საცხოვრებელი კომპლექსი. შუა საუკუნეები (F2)
- 339. ურაველი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D4)
- 340. ურბნისი. სამნავიანი ბაზილიკა. VI — VII სს. (E3)
- 341. ურთა. დარბაზული ეკლესია. VI — VII სს. (D5)
- 342. უფლისციხე. გამოქვაბული ნაქალაქარი. ძველი წ. ა. I ათასწლეული — ჩვენი წ. ა. დასაწყისი და შუა საუკუნეები (F3)
- 343. უშგული. დასახლება კოშკებით. შუა საუკუნეები (D2)
- 344. უწერა. დარბაზული ეკლესია. ნანგრევები X ს. (E2)
- 345. უჭარმა. ნაქალაქარი. ციხე-ქალაქი. V — X სს. (G3)
- 346. ფანასკერტი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C5)
- 347. ფერიყალა. გუმბათიანი ეკლესია. გვიანშუასაუკუნეები (H4)
- 348. ფერსათი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (D3)
- 349. ფეჭრაშენი. ეკლესია. შუა საუკუნეები (D5)
- 350. ფიტარეთი. გუმბათიანი ეკლესია. XII — XIII სს. (F4)
- 351. ფოკა. დარბაზული ეკლესია. XI ს. (E4)
- 352. ფოთი. კოლხეთის უძველესი ქალაქი (B3)
- 353. ფურტიო. აქარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
- 354. ქსაგინა. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E2)
- 355. ქალაქი. დარბაზული ეკლესია. XIII — XIV სს. (E2)
- 356. ქვაბისხევი. სამნავიანი ეკლესია. IX — X სს. (D4)
- 357. ქვათახევი. გუმბათიანი ეკლესია. XII — XIII სს. (F4)
- 358. ქვემოქალა. ანსამბლი — ეკლესია, სამრეკლო, კოშკები. გვიანშუასაუკუნეები (F3)
- 359. ქვეში. ციხე. შუა საუკუნეები (F4)
- 360. ქვიშხეთი. კოშკი. გვიანშუასაუკუნეები (E3)
- 361. ქისტანი. გამაგრებული საცხოვრებელი სოფელი. შუა საუკუნეები (F2)
- 362. ქობერი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (F5)
- 363. ქოლაგირი. ქარვასლა. XVIII ს. (F4)
- 364. ქოლოთი. გამაგრებული საცხოვრებელი. ადრეშუასაუკუნეები (F3)
- 365. ქორეთი. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E3)
- 366. ქოროლო. დარბაზული ეკლესია. X ს. (F3)
- 367. ქსუსი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (E3)
- 368. ქურმუხი. გუმბათიანი ეკლესია. გვიანშუასაუკუნეები (J4)
- 369. ქუთაისი. ძველი ქალაქი. I. უკიმერიონი, გალავნის კედელი. V —


- VI სს. 2. ქუთაისი. ქალაქის კედელი. V — VI სს. ბაგრატის ტაძარი.  
X — XI სს. მწვანე ყვავილა. X — XI სს. ოქროს ჩარდახი. გვიანშუა-  
საუკუნეები (D3)
370. ღები. გამაგრებული საცხოვრებელი. შუა საუკუნეები (E2)
371. ყაპალანი. დარბაზული ეკლესია. ადრეშუასაუკუნეები (F4)
272. ყვარელი. ციხე-გალავანი. გვიანშუასაუკუნეები (H3)
373. ყველი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C4)
374. უინწვისი. გუმბათიანი ეკლესია. XII — XIII სს.  
დარბაზული ეკლესია. IX — X სს. (E3)
375. ყიზილ ქილისა. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (F4)
376. ყორნისი. სარეზიდენციო ანსამბლი. გვიანშუასაუკუნეები (E3)
377. ყულევი. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (B3)
378. შავშეთი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C5)
379. შატბერდი. მონასტერი. ადრეშუასაუკუნეები (C4)
380. შათილი. დასახლება გამაგრებული საცხოვრებელი სახლებით.  
შუა საუკუნეები (G2)
381. შაშიანი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (G3)
382. შემოქმედი. სამონასტრო ანსამბლი. შუა საუკუნეები (C3)
383. შიომღვიმე. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია. VI ს.  
დიდი ტაძარი. XII ს. (F3)
384. შორაპანი. ნაქალაქარი.  
ძვ. წ. II — I საუკუნეები და ახლის პირველი საუკუნე (D3)
385. შრამა (ვარნაძიანი). სამეკლესიანი ბაზილიკა. VIII — IX სს. (G3)
386. შუამთა (ძველი). სამნავიანი ბაზილიკა. VI ს.  
გუმბათიანი ეკლესია VII ს. (G4)
387. შუანა. გუმბათიანი ეკლესია. X ს. (C1)
388. შუა სურები. ციხე. შუა საუკუნეები (C3)
389. შუახევი. აპარის ასსრ. ციხე. შუა საუკუნეები (C4)
390. შულავერი. შულავერის გორა. დასახლება.  
ძვ. წ. V — IV ათასწლეულები (F4)
391. შუხუთი. აბანოს მოზაიკიანი იატაკი. IV ს. (C3)
392. ჩაილური. ციხე-გალავანი. გვიანშუასაუკუნეები (G4)
393. ჩაუაში. გამაგრებული დასახლება კოშკებით. შუა საუკუნეები (D2)
394. ჩუკული. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (D2)
395. ჩხალგა. აფხაზეთის ასსრ. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C1)
396. ჩხარი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D3)
397. ჩხუტურეთი. აპარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)
398. ცაგერი. ციხე. განვითარებული შუა საუკუნეები (D2)
399. ცაიში. გუმბათიანი ეკლესია. XIV ს. (C3)
400. ცეცხლის ჭვარი. დარბაზული ეკლესია და კოშკი. IX — X სს. (F2)
401. ციხეგარყლობისა. ციხე. შუა საუკუნეები (C4)
402. ციხისძირი. აპარის ასსრ. ანსამბლი. ადრეშუასაუკუნეები (C4)
403. ცხავერი. ციხე. X ს. (F4)
404. ცხენკანი. აპარის ასსრ. ხიდი. შუა საუკუნეები (C4)

405. ცხინვალი. ძველი ქალაქი და ეკლესიები X — XVIII სს. (F3)
406. ძალისა. სარეზიდენციო. ძვ. წ. ბოლო და ახლის დასაწყისი (F3)
407. ძამა. ციხე-დარბაზი. ადრეშუასაუკუნეები (E3)
408. ძალინა. ციხე. ადრეშუასაუკუნეები. სასახლე. XVII ს. (E3)
409. ძველი სენაკი. ციხე. ადრეშუასაუკუნეები (C3)
410. წაღენჭიხა. გუმბათიანი ეკლესია. XIV ს. (C2)
411. წამებული (გარეჯა). გამოქვაბული მონასტერი. განვითარებული შუა საუკუნეები (G4)
412. წებელდა. აფხაზეთის ასსრ. ციხე.  
განვითარებული შუა საუკუნეები (B2)
413. წერო. გუმბათიანი ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (E3)
414. წესი (ბარაკონი). გუმბათიანი ეკლესია. 1758 წ. (D2)
415. წერეთის ციხე. შუა საუკუნეები (C5)
416. წვირში. დარბაზული ეკლესია. VIII — IX სს. (D2)
417. წითელი ხიდი. ხიდი ქარვასლით. გვიანშუასაუკუნეები (G4)
418. წილკანი. ბაზილიკა. V — VI სს. გადაკეთებულია გუმბათიან ეკლესიად შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში გაუყვოდა რემონტი (F3)
419. წინწყარო. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (F4)
420. წიქოლი. გუმბათიანი ეკლესია. IX ს. (F3)
421. წრომი. გუმბათიანი ეკლესია. VII ს. (E3)
422. წუნდა. დარბაზული ეკლესია. X ს. (E4)
423. წყაროს თავი. ბაზილიკა. V ს.  
გუმბათიან ეკლესიად გადაკეთდა X — XI სს. (D5)
424. წყურწყამი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D4)
425. წულრულაშენი. გუმბათიანი ეკლესია. 1218 — 1222 წწ. (F4)
426. ჭაქვინჯა. ციხე. შუა საუკუნეები (C2)
427. ჭერემი. სამეკლესიანი ბაზილიკა. X — XI სს.  
სასახლე. VIII — IX სს. (G4)
428. ჭიათურა. მღვიმეს მონასტერი. დარბაზული ეკლესია. XIV ს. (D3)
429. ჭიორა. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (F2)
430. ჭულე. გუმბათიანი ეკლესია. XIV ს. (D4)
431. ხაიში. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (C2)
432. ხანძთა. გუმბათიანი ეკლესია. IX ს. (C4)
433. ხაშში. სამნავიანი ბაზილიკა. V — VI სს. სასახლე. IX — X სს. (G4)
434. ხახმატი. მთიულური დასახლება. შუა საუკუნეები (G2)
435. ხახული. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ტაძარი. X — XI სს. (B5)
436. ხეთი. სამონასტრო ანსამბლი. ეკლესია. X ს.  
საცხოვრებელი კოშკი. XVIII ს. (E3)
437. ხერთვისი. ციხე-ქალაქი. შუა საუკუნეები. ციტადელი.  
ადრე და განვითარებული შუა საუკუნეები (D4)
438. ხვანჭკარა. ციხე და ეკლესია. შუა საუკუნეები (D2)
439. ხვილიშა. დარბაზული ეკლესია. IX ს. (E4)
440. ხიმში. დარბაზული ეკლესია. XI ს. (D2)
441. ხირსა. ბაზილიკა. VI ს. გადაკეთებულია გუმბათიან ეკლესიად გვიან შუასაუკუნეებში (H4)

442. ხიხანი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D4)
443. ხიხაძირი. აჭარის ახსრ. ციხე. შუა საუკუნეები (C4)
444. ხობი. სამონასტრო ანსამბლი. XII — XIII სს. (C3)
445. ხოჭიტა შაირაში. დარბაზული ეკლესია. X — XI სს. (E2)
446. ხონი (წულუკიძე). დარბაზული ეკლესია. X ს. გადაკეთდა XIX ს. (C3)
447. ხორენია. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (E4)
448. ხორნაბუჯი. ციხე-ქალაქის ნანგრევები. ადრეშუასაუკუნეები (H4)
449. ხოსპიო. დარბაზული ეკლესია. X ს. (E4)
450. ხოტევი. ციხე. შუა საუკუნეები (D3)
451. ხრესილი. ციხე. შუა საუკუნეები (D3)
452. ხრეთი. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D3)
453. ხულო. აჭარის ახსრ. ციხე. შუა საუკუნეები (C4)
454. ხუნანი. ციხე-ქალაქის ნარჩენები. ძვ. წ. IV — III საუკუნეები და ახლის დასაწყისი (G4)
455. ხუნჯახი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (H2)
456. ხცისი. დარბაზული ეკლესია. 1002 წ. (E3)
457. ჯავისთავი. დარბაზული ეკლესია. XI ს. (E3)
458. ჯახუნდერი. დარბაზული ეკლესია. X ს. (D2)
459. ჯაყის ციხე. ადრეშუასაუკუნეები (D5)
460. ჯგერდა. დარბაზული ეკლესია. VI — VII სს. (B2)
461. ჯვარი. ეკლესია და კოშკი. შუა საუკუნეები (C2)
462. ჯვარისა. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები (D3)
463. ჯიხა. ციხე-გალავანი. შუა საუკუნეები (C3)
464. ჯრუჭი. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია. X — XI სს. გადაკეთებული გვიანშუასაუკუნეებში (E3)
465. ჯუმათი. დარბაზული ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები (C3)
466. ჰერეთი (ხორანთა). ციხე-ქალაქი. ნანგრევები. ადრეშუასაუკუნეები (J5)
467. ჰელო. კოშკური დასახლება. შუა საუკუნეები (G2)
468. ჰუჯაბი. სამონასტრო ანსამბლი. გუმბათიანი ეკლესია. XII — XIII სს. (F5)




















Национальный  
Бюро Экономических  
Исследований









2423



29



ქართული  
ხუროთმოძღვრების  
ძეგლები